საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით აცხადებს გამარტივებულ კონკურსს საბიბლიოთეკო ეროვნულ ბიბლიოთეკაში გრაფიკის დიზაინერის (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) პოზიციაზე.

კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლებია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილება.

გამარტივებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს აღნიშნულ პოზიციაზე წაყენებულ საკონკურსო მოთხოვნებს.

განცხადებები მიიღება 2017 წლის 27 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატმა განცხადება უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონულად, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კანდიდატმა შესაბამის ველებში უნდა ატვირთოს:

1. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

2. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი − შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში) ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყების და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა;

საბუთები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა). საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატი კონკურსის II ეტაპზე არ დაიშვება.

გამარტივებული კონკურსის ეტაპები:

I ეტაპი - კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;

II ეტაპი - შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

II ეტაპზე (გასაუბრება) კანდიდატებმა თან უნდა იქონიონ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

კონკურსის II ეტაპი გაიმართება თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქ. №7, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გამარტივებულ კონკურსს შრომითი ხელშეკრულებით მისაღებ პირებთან ატარებს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.

გამარტივებული კონკურსის შედეგები თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობით ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით: (+995) 032 297 16 02-05 (123), (+995) 032 297 16 02-05 (124)